სამი საბჭოთა გუნდი განაგრძობს ბრძოლას
თბილისის დინამოელთა წარმატება

ნეაპოლი. სან-პაოლოს სტადიონი. 27 სექტემბერი.

„ნაპოლი“ (ნეაპოლი) - „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:0).

„ნაპოლი“: კასტელინი, ბრუსკოლოტი, ვალენტე, პინი, ფერარიო, კაპორალე, კაზოო, ფილიპი, სავოლდი, მაიო, ნუჩო.

„დინამო“: გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ.მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (სულაქველიძე).

მსაჯი ა. ვოლიანი (საფრანგეთი).

გაფრთხილებულია გუცაევი.

75 ათასი მაყურებელი დაესწრო უეფა-ს თასის ოცდამეთორმეტედფინალის განმეორებით მატჩს ნეაპოლის „ნაპოლსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. რა თქმა უნდა, მაყურებელთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი გულშემატკივარი იყო და იმედოვნებდა, რომ „ნაპოლი“ შეძლებდა გამკლავებოდა მეტოქეს, რომელმაც პირველი შეხვედრა შინ მოიგო ანგარიშით 2:0. ეს არ იყო იოლი ამოცანა, მაგრამ ევროპულ ტურნირებზე იშვიათი როდია შემთხვევა, როცა გამარჯვებული გუნდი ვერ ინარჩუნებს 2-გოლიან უპირატესობას და მასპინძელთა რევანშიც არ მიეკუთვნება ხოლმე სენსაციათა კატეგორიას.

მაგრამ ისევე როგორც თბილისში, დინამოელებმა ამჯერადაც ნეაპოლელებზე უკეთესად ითამაშეს, აქტიური, კომბინაციური თამაშით დაჯაბნეს მეტოქე და 2 მატჩის ჯამში დამსახურებულად მოიპოვეს შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლება. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: თბილისელები ამ ეტაპზე იტალიელებზე უფრო ძლიერნი იყვნენ.

სხვათა შორის, მატჩს წინ უძღოდა ასეთი შემთხვევებისთვის უცხოეთში წესად მიღებული აჟიოტაჟი. იტალიის გაზეთები წერდნენ, რომ „ნაპოლის“ დირექტორატმა თავის მოთამაშეებს დიდი ფულადი ჯილდო აღუთქვა, თუ გუნდი შეძლებდა რევანშის აღებას შესაბამისი ანგარიშით, რაც უნდა გამოხატულიყო 3 გოლის განსხვავებით გამარჯვებაში. პრემია გარკვეული დოპინგია პროფესიონალი ფეხბურთელისთვის, მაგრამ „ნაპოლი“ მაინც ვერაფერს გახდა. დინამოელებმა არ მიმართეს ყრუ დაცვას, თავდასხმაში ეფექტურად მოქმედებდნენ გუცაევი და შენგელია, მათ აქტიურად უჭერდნენ მხარს ყიფიანი და დარასელია, რამაც მასპინძლები აიძულა უფრო მეტი ყურადღება მიექციათ დაცვისთვის, ვიდრე ეს მათ წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი.

მიმდინარეობს 66-ე წუთი, როცა გუცაევმა ღია პოზიციაში გაიყვანა ქორიძე. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა მოიგერია კასტელინიმ. მაგრამ ბურთს მიუსწრო დარასელიამ და ბადეში გაგზავნა იგი – 1:0. აქ უკვე ცხადი შეიქნა, რომ იტალიელებს ფაქტიურად ყველა შანსი გადაეწურათ, ვინაიდან 4 გოლის გატანა უკვე აშკარად აღემატებოდა მათ შესაძლებლობებს. მაქსიმუმი, რაც „ნაპოლიმ“ შეძლო, სავოლდის მიერ პენალტით გატანილი საპასუხო გოლი იყო – 1:1.

თბილისის „დინამოს“ გამოსვლას ნეაპოლში, კარგი პრესა ჰქონდა. ნეაპოლის, მილანის, რომისა და სხვა ქალაქების გაზეთებმა ღირსეულად აღნიშნეს დინამოელთა კარგი თამაში, კერძოდ, „უნიტამ“, „დე ლა სპორტომ“ და სხვა გაზეთებმა ხაზი გაუსვეს თბილისის „დინამოს“ მაღალ კლასს, ინდივიდუალურ ოსტატობას, კოლექტიურობას, ტაქტიკურ მრავალფეროვნებას და აღიარეს, რომ ამ წყვილის 2 შეხვედრაში გამარჯვება დარჩა მას, ვინც ნამდვილად უფრო ძლიერი იყო.

„ლელო“, 30.09.78